„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“...

კოლხეთი

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

გაზეთი გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

2019 წელი.№1 (9449) 1-15 იანვარი ფასი 50 თეთრი

სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის ხეივანი - 2019

„ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე დაბადებულაო, შობა-ახალ წელიწადი ჩვენთვის გათენებულაო„

საშობაო ალილო და შობის მახარობლები ქალაქის ქუჩებში

ქრისტეშობის სადღესასწაულო მსახურება ქვეყნის მასშტაბით მოქმედ ეკლესიებსა და მონასტრებში; შობის ღამეს, ყველა სარკმელთან დანთებული სანთელი - მაცხოვრის დაბადების სიმბოლო; საშობაო ალილო - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევაა და მისი მეოხებით აღდგენილი ტრადიცია. დღეს შობის მახარობლებმა მოსახლეობას ქრისტეშობა ქალაქის ქუჩებში გალობით ახარეს. საშობაო ალილოს მსვლელობის მონაწილეები დეკანოზმა ავგუსტინე დუნდუამ დალოცა. უამინდობის მიუხედავად, მსვლელობა, საწინამძღვრო ჯვრებით, შობის ხატის და დროშების თანხლებით, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიიდან დაიწყო და სენაკის ცენტრალური ქუჩების გავლით, სახვითი ხელოვნების გალერეასთან დასრულდა. „ალილოს" მრევლთან ერთად მსვლელობაში მონაწილეობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, ადგილობრივი თვითმმართველობის და მერიას დაქვემდებარებული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს. საშობაო ალილოზე შეგროვებული ნობათი მზრუნველობამოკლებულ მოხუცებს, სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს გადაეცათ.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახური

მუნიციპალიტეტის მერიაში

იუსტიციის მინისტრმა სენაკში 22-ე იუსტიციის სახლი გახსნა

სენაკში, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, რიგით 22-ე იუსტიციის სახლი გახსნა. გახსნის ცერემონიალს საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ბერაია, საქართველოს პარლამენტის წევრი ოთარ დანელია, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე ირაკლი ჯიქია, გუბერნატორის მოადგილე ნინო ვიბლიანი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, იუსტიციის სამინისტროს, სამხარეო ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა საზოგადოებას დამდეგი შობა-ახალი წელი და ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა მიულოცა, რომლის შემდეგაც მინისტრმა სენაკის მაჟორიტარ დეპუტატთან ირაკლი ბერაიასთან ერთად ლენტი საზეიმოდ გაჭრა. რეგიონში რიგით მეოთხე - სენაკის იუსტიციის სახლის სახით ქალაქს ინდივიდუალური სტილით ერთ-ერთი გამორჩეული ნაგებობა შეემატა. სენაკში იუსტიციის სახლი არქიტექტორ მიხეილ გიორგობიანის პროექტით აშენდა და ის 531 კვადრატული მეტრია. იგი არქიტექტურულად და ფუნქციურად დაამშვენებს და გააფართოვებს ქალაქის არეალს. სენაკში სამოქალაქო და საჯარო რეესტრის სამსახურები ერთ სივრცეში მოექცევა. სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის 400-ზე მეტი სერვისის ერთ სივრცეში მიღება იქნება შესაძლებელი. სენაკის მცხოვრებლებს იუსტიციის სახლთან ერთად, ქორწინებისათვის სპეციალურად მოწყობილი სივრცეც ექნებათ. ნებისმიერ წყვილს აქვს საშუალება, ქორწინების რეგისტრაცია საზეიმო ცერემონიალის თანხლებით დაგეგმოს. ამჯერად სენაკელებს საშუალება მიეცემათ „ერთი ფანჯრის პრინციპით" ისარგებლონ სახელმწიფო სერვისებით, რომლის კონცეფცია სწრაფი და ეფექტური მომსახურების მიწოდებას წარმოადგენს. ღონისძიების ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ გაიმართა შოუ-კონცერტი სალომე კორკოტაშვილისა და მისი ბენდის მონაწილეობით. საღამო ფოიერვერკით დასრულდა.

საშობაო საჩუქრები შსს სენაკის რაიონულ სამმართველოს

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა და მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა მაცხოვრის შობა შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სენაკის რაიონული სამმართველოს უფროსს ლევან მიშველიას და მოსახლეობის უსაფრთხოების დამცველ პოლიციელებს მიულოცეს და საშობაო საჩუქრები გადასცეს. „რთული და საპასუხისმგებლო, მაგრამ საამაყოა პოლიციელის როლი. ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასად გიწევთ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება. თქვენ ხართ ის ადამიანები, რომლებიც ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე ზრუნავთ. მინდა მადლობა გითხრათ ქვეყნის და ხალხის სამსახურში დგომისთვის." - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

საშობაო ნობათი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის პერსონალს

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა მოადგილესთან კახაბერ კუპრეიშვილთან ერთად შპს „სენაკის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურის" პერსონალს ქრისტეშობის დღესასწაული მიულოცა და საშობაო ნობათი გადასცა. „მინდა, პატივისცემა გამოვხატო იმ ადამიანების მიმართ, ვინც ამ წუთებშიც ქვეყნის სამსახურში, მოსახლეობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგანან. მაცხოვრის შობა არის სიყვარულის, სიახლისა და სიკეთის სიმბოლო. გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს. ბედნიერებას, წარმატებებს და სიმშვიდეს გისურვებთ." - აღნიშნა ლევან კუპრეიშვილმა.

საახალწლო ნობათი დევნილებსა და კვების ცენტრის ბენეფიციარებისთვის

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ წინასაახალწლო დღეებში, სადღესასწაულო პროგრამის ფარგლებში, დევნილი ბავშვები და მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის ბენეფიციარები საახალწლო ნობათით დაასაჩუქრა. მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ნატალია ხუბუა შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ეწვივნენ თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის მე-7 საჯარო სკოლას, დევნილთა საბავშვო ბაღს „ოცნება" და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ ჩასახლებებს. მათ სადღესასწაულო პროგრამის ფარგლებში საახალწლო ნობათი გადასცა აფხაზეთიდან დევნილთა ოჯახების 500 მოზარდს. სენაკის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის 154 ბენეფიციარმა მუნიციპალიტეტის მერიისგან საჩუქრად სასურსათო პაკეტები მიიღო. საშობაოდ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, მრავალშვილიანი ოჯახები, 100 წელს გადაცილებული მოქალაქეები და დედ-მამით ობოლი ბავშვები საშობაო ნობათით დაასაჩუქრა.

საბავშვო ბაგა ბაღებში საახალწლო ღონისძიებები ჩატარდა

დღესასწაული, რომელიც პატარებს განსაკუთრებულად ახალისებს, ახალი წელია. ა(ა)ი.პ. სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების მეორე ბაგა-ბაღში (გამგე - ქეთევან ბერაია) საახალწლო განწყობა სუფევდა. სანტა კლაუსისა და ფიფქიას სამოსით მორთულმა პატარა აღსაზრდელებმა ბაბილინასთან და საყვარელ პედაგოგებთან ერთად საახალწლო კომპოზიცია წარმოადგინეს და სხვადასხვა ზღაპრის გმირები განასახიერეს. ბაბილანას როლი შესანიშნავად მოირგო და იტვირთა მუსიკის მასწავლებელმა ეკა სიჭინავამ. საახალწლო კარნავალს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დღესასწაულის მონაწილე ყველა აღსაზრდელს თოვლის ბაბუამ, რომელიც ქორეოგრაფმა გიორგი კორშიამ განასახიერა, პატარებს საჩუქრები გადასცა. სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაგა-ბაღში საახალწლო ღონისძიებები გაიმართა და 1 400 აღსაზრდელმა მიიღო მერიის საჩუქარი - საახალწლო ნობათი.

საახალწლო გალა კონცერტი

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე საახალწლო გალა კონცერტი გაიმართა, რომელსაც მსახიობი სოფო მეძმარიაშვილი უძღვებოდა. შოუ კონცერტი ადგილობრივმა შემოქმედებითმა ჯგუფებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა გახსნეს. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ფოლკლორული ჯგუფები „კოლხური ტრიო", „ეგრისი", ეთნო ჯგუფი ლალი გოგიას ხელმძღვანელობით, მომღერალი სალომე ბერიშვილი, მეგი ცისკაძე, საბავშვო და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მეოთხე ეროვნული კონკურსის გამარჯვებული, ნომინაცია „საუკეთესო სოლისტის" მფლობელი რატი სიმონია და „ნიჭიერის" ფინალისტი, საქართველოს „არტ-აკადემიის" სტიპენდიანტი გიორგი ცისკაძე. მოსახლეობას ახალი წელი ცნობილი ქართული და უცხოური ჰიტებით მიულოცეს შოუ ბიზნესის ცნობილმა სახეებმა - ჯგუფმა „ეგარი", გიორგი პავლიაშვილმა (მასტერი), მარიამ ხუცურაულმა და ბესიკ ნემსაძემ. საახალწლო საღამოს, რომელიც ულამაზესი ფოიერვერკით დასრულდა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. 2018 წელი ახალი წლისადმი მიძღვნილი ორიგინალური კონცერტით დასრულდა. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე თავმოყრილი სენაკელები ახალ 2019 წელს ამაღლებული განწყობილებით და ბედნიერი მომავლის რწმენით შეეგებნენ.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის ანგარიში

2018 წლის 26 დეკემბერს სასტუმრო „ვერსალში” სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი ერთი წლის ანგარიშით წარსდგა საზოგადოების წინაშე.

„ჩვენი ხელისუფლების უმთავრესი ღირებულება ადამიანია. ჩვენთვის პრიორიტეტულია საზოგადოებიდან წამოსული ინიციატივები. დღეს ხალხს აქვს შესაძლებლობა აკონტროლოს და შეაფასოს ხელისუფლების საქმიანობა. ჩვენ ღიად ვსაუბრობთ არსებულ გამოწვევებზე და მათი გადაჭრის გზებზე.” აღნიშნა ლევან კუპრეიშვილმა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა ფერადი ბეჭდვით შესრულებულ საინფორმაციო ბუკლეტს, სადაც მიმოხილული იყო მერის ინიციატივით და მერიის სამსახურების მიერ განხორციელებული პროექტები და რეფორმები.

მკითხველს ვთავაზობთ მუნიციპალიტეტის მერის ერთი წლის ანგარიშის ტექსტს.

მინდა წარმოგიდგინოთ ჩვენი საქმიანობის შედეგები 2018 წლის დასაწყისიდან დღემდე, თუ რისი გაკეთება შევძელით და რა პროექტების განხორციელება გვაქვს დასახული სამომავლოდ.

სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცდა 8587.0 ათასი ლარით.

წლის განმავლობაში დამატებით მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ საშემოსავლო ნაწილში შეადგინა 15662,0 ათასი ლარი, ხოლო აღნიშნული სახსრებიდან საკასო შესრულებამ - 9817.3 ათასი ლარი.

შემოსულობებიდან - 11629.0 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებია:

•დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად - 195,0 ათასი ლარი

•გათანაბრებითი ტრანსფერი - 4486.6 ათასი ლარი;

•საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდებიდან დასაფინანსებელი სამუშაოებისათვის 4462.4 ათასი ლარი;

•სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის 2485,0 ათასი ლარი;

საკუთარმა შემოსავლებმა 4033.0ათასი ლარი შეადგინა;

2018 წლის 11 თვეში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით სხვადასხვა სფეროს დასაფინანსებლად გაიხარჯა:

•ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 4457.2ათასი ლარი;

•კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 1214.6 ათასი ლარი;

•საგანმანათლებლო ღონისძიებები 1226 ათასი ლარი

•მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 791.6 ათასი ლარი;

•თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების დაცვა 69.4 ათასი ლარი;

•წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება 2058.5 ათასი ლარი;

აღსანიშნავია, რომ 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი 38 %-ით გაიზარდა.

2018 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულებამ შეადგინა 17 411 293 ლარი, მათ შორის - გზების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 3 309 412 ლარი, ტროტუარებისა და ბორდიურების მოწყობაზე - 973 000 ლარი. სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაციაზე - 703 000 ლარი, ნაპირსამაგრ სამუშაოებზე - 2 182 000 ლარი, გაზიფიცირების სამუშაოებზე - 7 873 881 ლარი, სენაკის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე 2 300 000 ლარი, სენაკის იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაზე 70 000 ლარი. აღნიშნულ პროექტებზე 550 ადგილობრივი მაცხოვრებელი იყო დასაქმებული.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეაბილიტირდა 18,9 კილომეტრი საავტომობილო გზა. მათ შორის ქალაქად - 16 ქუჩა, რაც შეადგენს - 5,6კმ საავტომობილო გზა ღირებულებით - 1 243 352 ლარს შეადგენს. ხოლო ნოსირის, ხორშის, ახალსოფლის, ძვ. სენაკისა და ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულებში - 13,3 კმ. გზა რეაბილიტირდა ღირებულებით 2 066 060 ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ რეაბილიტირდა ისეთი გზებიც, რომელთაც ათწლეულების მანძილზე აღდგენითი სამუშაოები არ ჩატარებია. ეს ეხება როგორც შიდა მუნიციპალურ, ასევე სახელმწიფო დანიშნულების გზებს.

ფაქტობრივად, მთელი ქალაქის მასშტაბით განხორციელდა ტროტუარებისა და ბორდიურების რეაბილიტაციისა და მოწყობის სამუშაოები. ქალაქის 7 ცენტრალურ ქუჩაზე გზის ორივე მხარე მოიკირწყლა დეკორატიული ფილებით, მოეწყო პანდუსები შშმ პირებისთვის, გამწვანების ზოლი, განხორციელდა მოწყობილი ბორდიურების შეღებვა. განხორციელებულმა პროექტმა ქალაქს განახლებული იერი შესძინა და მოქალაქეებს კომფორტულად გადაადგილების შესაძლებლობა გაუუმჯობესა.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით 2018 წელს ხორციელდებოდა სამელიორაციო სამუშაოები. დაშრობითი სამუშაოები ჩატარდა მენჯისა და ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულებში 23 ჰექტარზე. სამუშაოების ღირებულებამ 7 887 ლარი შეადგინა. შედეგად მოიხსნა როგორც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ასევე მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის პრობლემა.

2018 წელს სენაკში დასრულდა წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი. მილსადენების რეაბილიტაცია განხორციელდა 51 ქუჩაზე. შედეგად, ამ ქუჩებს აქვთ 24 საათიანი წყალმომარაგება. 2018 წელს ახალი ქსელი მოეწყო არჩაიასა და ნაროუშვილის ქუჩებზე. აღნიშნულ უბნებში წყალმომარაგების სისტემა საერთოდ არ ფუნქციონირებდა. ხოლო 4 ქუჩაზე (შონიას, გრიგოლიას, ნარმანიასა და შამათავას ქუჩები) განხორციელდა წყალმომარაგების ქსელის სრული რეაბილიტაცია. მიმდინარე წელს 1900 გრძივ მეტრზე რეაბილიტირდა წყალმომარაგების სისტემა. 2019 წლისთვის დაიწყება წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი, რის შედეგადაც ქალაქის მოსახლეობა სრულად უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი წყალმომარაგებით.

სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აქტიურად მიმდინარეობს გაზიფიცირების სამუშაოები. მუნიციპალიტეტის სრული გაზიფიცირება მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ამ ეტაპზე 6 ადმინისტრაციულ ერთეულში - თეკლათში, ახალსოფელში, ნოსირში, გეჯეთში, ნოქალაქევში, ძველ სენაკში გაზიფიცირების სამუშაოები დასრულებულია. 2018 წელს ბუნებრივი აირით კიდევ 3 530 ოჯახი ისარგებლებს.

** ჩვენთვის პრიორიტეტულია საზოგადოებიდან წამოსული ინიციატივა*

** ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულებამ 17 411 293 შეადგინა*

** გაგრძელდება წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოები*

** გაგრძელდება სოფლების სწრაფი და ხარისხიანი ინტერნეტიზაცია*

** განვითარდება სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები*

საგრძნობლად გაუმჯობესდა ქალაქის იერსახე. გარე განათების სისტემები დამონტაჟდა ქალაქის 33 ქუჩაზე და სოფლად 6 უბანში. მუნიციპალიტეტის მასშტაბით - 28 570 მეტრ მანძილზე. არსებული 150 ვატიანი სანათები შეიცვალა (დიოდური) სანათებით ქალაქის 16 ქუჩაზე, რის შედეგადაც მივიღებთ 24 000 ლარის წლიურ ეკონომიას. გარე განათების მოწყობის სამუშაოებზე დაიხარჯა 38 957 ლარი.

ასევე, კეთილმოწყობის კუთხით, მიმდინარე წელს ქალაქის ტერიტორიაზე დამატებულ იქნა 100 ახალი პლასტმასის კონტეინერი, ხოლო არსებული თუნუქის 69 კონტეინერი განთავსდა სოფლად.

მუნიციპალიტეტში განხორციელდა სანიაღვრე და საწრეტი არხების მოწყობისა და გაწმენდის სამუშაოები. სანიაღვრე არხები მოეწყო და გაიწმინდა ქალაქის 11 ქუჩაზე და 11 ადმინისტრაციულ ერთეულში. შედეგად, მოგვარდა პრობლემა, რომელიც წლების განმავლობაში, უხვი ნალექის დროს იქმნებოდა ქალაქში.

ქალაქის სამსახურების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია შესაბამისი ტექნიკის არსებობა. ამ კუთხით, მუნიციპალიტეტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი თანამედროვე ტიპის გრეიდერის შეძენა. წლების მანძილზე არსებული პრობლემა დღეს გადაწყვეტილია. შეძენილი ტექნიკის ღირებულება 227 767 ლარს შეადგენს. გრეიდერი მუნიციპალიტეტის მასშტაბით საგრძნობლად გააუმჯობესებს საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოწყობის, საჭიროების შემთხვევაში, გაწმენდის სამუშაოებს.

სენაკში მეწარმეობის განსავითარებლად გაგრძელდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამებისა და პროექტების განხორციელება.

იზრდება ბიზნეს სექტორში მოქმედ საწარმოთა რაოდენობა. გრძელდება მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სენაკში 467 ათასი ლარი გაიცა. აღნიშნული დაფინანსებით სენაკში განხორციელდა 60 პროექტი.

წარმატებით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესი. გრძელდება შედავათიანი აგროკრედიტის პროგრამა. 2018 წელს სოფლის მეურნეობის ნაწილში „შედავათიანი აგროკრედიტის” ფარგლებში მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 9 საწარმო. 26 ბენეფიციარზე გაცემული თანხის რაოდენობამ შეადგინა 1 066 128 ლარი.

სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი” მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში დაფინანსება მიიღო ერთმა საწარმომ, რომელიც დაფინანსდა 10 980 ლარით. ამავე პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სხვა აგრარული საწარმოების ჩამოყალიბების პროცესი. ამათგან აღსანიშნავია, ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში კოოპერატივ

„აგროთემის” ფარგლებში მოცვის პლანტაციის მშენებლობა.

2018 წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში ფართო მასშტაბით წარმოებული აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ძირითადი მიზანია მავნებლის რაოდენობის მაქსიმალური შემცირება და კონტროლი, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანების მასშტაბი და მისგან გამოწვეული ეკონომიკური ზარალი. ამისთვის განხორციელდა საჯარო მოხელეებისა და ამ სამუშაოებში ჩართული სპეციალისტების გადამზადება და საინფორმაციო კამპანია. სურსათის ეროვნული სააგენტოს, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურისა და მერიის შესაბამისი სამსახურების ჩართულობით განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან უბნების მიხედვით. სადაც მათ მიეწოდათ ამომწურავი ინფორმაცია მავნებელთან ბრძოლის მექანიკურ მეთოდებზე, ასევე, თხილის კულტურაში გავრცელებული სხვა დაავადების პროფილაქტიკისთვის გასატარებელი ღონისძიებებისა და გამოსაყენებელი პრეპარატების შესახებ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აპრილის თვიდან განთავსდა ფერომონები „მოიზიდე და მოკალი” 2185 ერთეული, რომლის შემდეგ მაისის თვეში დაიწყო და სექტემბრამდე მთელს მუნიციპალიტეტში განხორციელდა სავარგულების შეწამვლა ციკი ორთქლის შესხურების მეთოდით. პარალელურად მიმდინარეობდა წერტილოვანი შეწამვლები. ფაროსანასთან ბრძოლის მიზნით, სენაკის მუნიციპალიტეტში დამუშავებული ტერიტორიების ფართობმა შეადგინა 17460 ჰა.

განხორციელდა პროექტი „მომავლის ბაღი” , რომელიც ითვალისწინებს საადმზრდელო დაწესებულებებში ხეხილის ნაკვეთების მოწყობას. ამ მიზნით შეძენილ იქნა კურკოვანი და თესლოვანი ხეხილის სანერგე მასალა და მოეწყო ნაკვეთები ქალაქის №1 ბაგა-ბაღის, ძველი სენაკის, ნოქალაქევის და გეჯეთის საბავშვო ბაღებში.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, სენაკის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ერთობლივი თანამშრომლობით მუნიციპალიტეტის ხუთი ადმინისტრაციული ერთეულის (ძველი სენაკი, გეჯეთი, ხორში, ფოცხო, მენჯი) სკოლებში, მომავალი წლის მარტიდან განხორციელდება ახალი ინოვაციური პროექტი სკოლებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა. პროექტი,

გაგრძელება მე-3 გვერდზე

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის ანგარიში

(დასასრული)

რომლის ფინანსური მხარდამჭერია გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ითვალისწინებს ხეხილის ბაღების გაშენებას და მეფუტკრეობის განვითარებას, რომლის მოვლა-პატრონობით ღონისძიებებში ჩართული იქნებიან სკოლების ბაზაზე ჩამოყალიბებული აგროკლუბების წევრი მოსწავლეები.

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორია. ამ კუთხით მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ქვეყნის მასშტაბით გრანდიოზული პროექტის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსის სრული რეაბილიტაცია. ფართომასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2016 წელს დაიწყო. მიმდინარეობს ქვედა ნაქალაქარის ყველა სეგმენტის - გვირაბის, რკინის ხიდის, საფორთიფიკაციო ნაგებობების, სასახლეების, უნიკალური წყალსაცავის მოწესრიგება და სრული კონსერვაცია, 40 მოწამეთა ტაძრისა და მასში არსებული ფრესკების რესტავრაცია - კონსერვაცია. დაგეგმილია ნაქალაქარის ინფრასტრუქტურის - ბილიკები, მისასვლელი გზები, საინფორმაციო ბანერების მოწყობა., ნაქალაქარის ფერდობისა და ციტადელის პროექტირება. ფიზიკური სამუშაოების განხორციელების შემდგომ კი, სრულად დასრულდება ნოქალაქევის ნაქალაქარის რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში ასევე იგეგმება ახალი სამუზეუმო სივრცის შექმნა და ექსპოზიციის მოწყობა. მუზეუმში განთავსდება თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორია, რომელიც დასავლეთ საქართველოში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს მოემსახურება.კულტურული მემკვიდრეობის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ მისი სახით საქართველოს ტურიზმის რუკაზე მსოფლიო მნიშვნელობის რეაბილიტირებული ძეგლი გაჩნდება

მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ტურიზმის კუთხით შემუშავებულ იქნა ტურიზმის განვითარების გეგმა და შჯ თ ანალიზი, ტურისტული მარშრუტები, რომლის მიხედვით დაიგეგმა აქტივობები ტურიზმის განვითარების მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანი მოვლენაა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დანიშნულების მართვის ორგანიზაციის (DMO) ჩამოყალიბება და მასში ჩართვის შესაძლებლობა, რაც ჩვენს რეგიონში ტურიზმის განვითარების მოდელის შექმნას, ტურისტული ობიექტების და დიროშესანიშნაობების პოპულარიზაციასა და კომპლექსური მიდგომების გამოყენებით ტურიზმის სექტორში ჩართული მხარეების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის პროგრამები ითვალისწინებს სოციალური რისკების პრევენციას და კრიზისზე დროულ რეაგირებას. მოწყვლადი ჯგუფებისა და პირების დაცვა-გაძლიერების მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გარკვეული შედავათებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას.

2018 წელს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის პროგრამებზე დაგეგმილი იყო 846 250 ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 773 447 ლარი. პროგრამებით ისარგებლა 10 834-მა ბენეფიციარმა.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას 2018 წელს ემსახურება 18 პროგრამა: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ამბულატორიული მომსახურეობისა და მზრუნველობამოკლებულთა კვების უზრუნველყოფის პროგრამა, კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა, სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა, ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა, სოციალური ადაპტაციისთვის სამზრუნველო ქსელის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარების პროგრამა, ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამა, თირკმლის ჩანაცვლების თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა, იშვიათი დაავადების მქონე ბავშვების დახმარების პროგრამა, მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამა, დედ-მამით ობოლ ბავშვებზე დახმარების პროგრამა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამა, სოციალური ღონისძიების პროგრამა, ISAF-ის მისიაში და აგვისტოს ომის დროს ომში დაღუპულის ოჯახზე და მშვიდობიან მოქალაქეებზე დახმარების პროგრამა, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამა, დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა.

ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე წელს მაქსიმალურად ეწყობოდა ხელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საქმეს.

აიცრა 2 852 ბავშვი, C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოკვლეულია 3 240 ადამიანი. C ჰეპატიტის სკრინინგი ჩაუტარდა 6 810 ბენეფიციარს. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით მონიტორინგი ჩაუტარდა 94 ობიექტს. მალარიის პრევენციის მიზნით აღირიცხა 284 წყალსატევი, რომელთაგან ამ ეტაპზე გამოკვლეულია - 97.

კეთილმოეწყო და სამედიცინო აპარატურით აღიჭურვა სენაკის ბავშვთა საავადმყოფო. ამოქმედდა ნევროლოგიური და ოფთალმოლოგიური გამოკვლევების ცენტრი. სამედიცინო დახმარება გაეწია 5 767 პაციენტს.

მიმდინარე წელს ასევე ამოქმედდა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა. ასევე, პროგრამის „სამეგრელოს პილოტი" ფარგლებში სკრინინგი ჩაუტარდა 1 415 ბენეფიციარს. მუნიციპალიტეტის მერიამ დააფინანსა 12 მოქალაქის ბვირადდირებული ანალიზები.

საგანმანათლებლო სისტემის ხელშეწყობა და განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის. 2018 წელს რეაბილიტირდა 6 სკოლა. გაიხსნა სენაკის №2 საბავშვო ბაღის ახალი,

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აგებული შენობა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაციაში დაიხარჯა 33 700 ლარი. საბავშვო და ბაგა-ბაღების აღსაზრდელები ადგილობრივი ბიუჯეტიდან სრულად უზრუნველყოფილი არიან სამჯერადი კვებით. მიმდინარე წელს სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 88 000 ლარით. მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა ინტერნეტიზირებულია. ინკლუზიური განათლების პროგრამით მომსახურეობა გაეწია 77 მოსწავლეს. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება 21 სკოლის 180 პედაგოგის ტრანსპორტირების საფასური.

მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს განხორციელდა ისეთი მასშტაბური ფესტივალები და შესარჩევი კონკურსები როგორებიცაა: „სენაკი-არტ ფესტივალი 2018", „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების IV ეროვნული კონკურსის ზონალური ტური". საგანმანათლებლო პროექტები: „ნოქალაქევის ქართულ-ბრიტანულ ექსპედიციასთან არსებული ინგლისური ენის შემსწავლელი საზაფხულო სკოლა", „საბავშვო არქეოლოგია".

მუნიციპალიტეტში მასშტაბურად აღინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის იუბილე, შთამბეჭდავად ჩატარდა სახალხო დღესასწაული „ეგრისობა", რომლის ფარგლებში რუსთაველის, მშვიდობისა და რაკვერეს ქუჩებზე საზეიმოდ გაიხსნა სენაკთან დამეგობრებული ქალაქების: რაკვერესა და ბელაია ცერკოვის თემატური აბრები და „ბელაია ცერკოვის" სახელობის სკვერი. სწორედ „ეგრისობის" დღესასწაული იქცა ამ მეგობრობის განახლებისა და განვითარების ქვაკუთხედად. სენაკი მიმდინარე წელსაც მრავალფეროვანი ღონისძიებებით შეუერთდა აქციას „დამე მუზეუმში". პროექტ CHECK IN GEORGIA-ს ფარგლებში ჩატარდა ფერების ფესტივალი. მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სცენაზე დაიდგა წარმოდგენები. მოეწყო 100-ზე მეტი მეთოდურ-პროფესიული და საგანმანათლებლო-შემოქმედებითი ხასიათის აქტივობა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ძეგლთა დაცვასა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციას. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ორივე ძეგლზე - ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალსა და აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში აქტიურად მიმდინარეობს მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. 2018 წელი ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის გამორჩეულია სპორტული მიღწევებით. სენაკელმა სპორტსმენებმა ამ პერიოდის მანძილზე 238 მედალი მოიპოვეს. პირველად, ქართული სპორტის ისტორიაში, არგენტინაში, მესამე ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში პირველი ადგილი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა სენაკელმა სპორტსმენმა გიორგი ჩხიკვაძემ. საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიერ ის წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენად დასახელდა. წარმატებას მიაღწია ასევე „ეგრისმა" - სენაკის საფეხბურთო კლუბმა. იგი გახდა რეგიონალური ლიგის გამარჯვებული და მოიპოვა პროფესიონალურ IV ლიგაში ასპარეზობის უფლება.

ჩვენი სპორტსმენებისთვის შესაბამისი პირობების შექმნის კუთხით მუნიციპალიტეტში ჩატარდა და იგეგმება მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს კეთილმოეწყო სენაკის ცენტრალური სტადიონი, სასპორტო სკოლა, სპორტის სასახლე. ასევე მოეწყო 2 საფეხბურთო მინი მოედანი.

მუნიციპალიტეტში ასევე იმართება ინტელექტუალური თამაშები. ტრადიციად იქცა წლის საუკეთესო მწვრთნელთა და სპორტსმენთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.

ჩვენი ხელისუფლების უმთავრესი დირებულება ადამიანია. მერიის საქმიანობის ყველა ეტაპზე უმნიშვნელოვანესია საზოგადოების ჩართულობა და მათი ინტერესების გათვალისწინება. განხორციელებული პროექტები ჩვენთან გამჭვირვალედ და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს.

მომავალი წლიდან თვისობრივად გაუმჯობესებულ შედეგებზე ორიენტირებით, საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით, ჩვენ ვაგრძელებთ, ვგეგმავთ და საფუძველს ჩავუყრით მრავალ სასიკეთო პროექტს:

გაგრძელდება მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია, სანიადგრე არხების, გარე განათების სისტემის მოწესრიგება და სპორტული მოედნების მოწყობა;

მუნიციპალიტეტის მასშტაბით გაგრძელდება გაზიფიცირების სამუშაოები. დაიწყება მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტაცია;

გაგრძელდება ტროტუარებისა და ბორდიურების მოწყობა;

რეაბილიტაცია ჩაუტარდება სკოლებსა და საბავშვო ბაღებს; აშენდება ახალი საბავშვო ბაღები;

გაგრძელდება ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის რეკონსტრუქცია და შეიქმნება მასთან დაკავშირებული ტურისტული ინფრასტრუქტურა;

დასრულდება თეატრის რეაბილიტაცია, რომლის შემდეგაც იგი შეძლებს უმაღლესი სტანდარტების დაკმაყოფილებას და უმასპინძლებს საერთაშორისო დონის ფესტივალებსა და ღონისძიებებს;

დაგეგმილია სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის შენობის მშენებლობა;

გაგრძელდება სოფლების სწრაფი და ხარისხიანი ინტერნეტიზაცია;

გაიზრდება მუნიციპალიტეტის დასუფთავების შესაძლებლობები;



მოეწყობა საირიგაციო და დამშრობი არხები;

დაიწყება წყალმომარაგების სისტემის მეორე ეტაპი;

განვითარდება სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები;

გაგრძელდება მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გარკვეული შედავათებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა;

გაგრძელდება აივ-ინფექცია-შიდსის, C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის პილოტური პროგრამა;

დაგეგმილია სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

დაიწყება სენაკის ცენტრალური სტადიონის სრული რეაბილიტაცია;

გაგრძელდება მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებისა და სპორტის სასახლის კეთილმოწყობის სამუშაოები.

ამ და სხვა პროექტებს ჩვენ ერთობლივად მაქსიმალური ძალისხმევით განვახორციელებთ ჩვენი მუნიციპალიტეტის სასიკეთოდ, ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ, ქვეყნის წინსვლისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

ტრენინგები გრძელდება

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება 1918 წლიდან მოქმედებს, როგორც ნებაყოფლობითი, არასამთავრობო ჰუმანიტარული საქმიანობის სფეროში ხელისუფლების დამხმარე დამოუკიდებელი ორგანიზაცია და ახორციელებს საქმიანობებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რათა მისიის შესაბამისად სიცოცხლის და ღირსების დაცვის მიზნით დაეხმაროს უმწეო ადამიანებს საგანგებო სიტუაციებითა და სოციალურ ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული შედეგების დაძლევაში.

საქართველოს წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოების სენაკის ფილიალი – ფილიალის თავმჯდომარე – რომან ავალიანი ყოველწლიურად გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს, როგორიცაა – ტუბერკულოზის მსოფლიო დღე, პირველი დახმარების მსოფლიო დღე, შიდსის მსოფლიო დღე, დიაბეტის მსოფლიო დღე, უგზოუკლოდ დაკარგულთა დღე, ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე, კატასტროფების რისკის შემცირების დღ და სხვა. ასევე აქტიურად ერთვება პარტნიორი ორგანიზაციების დაინტერესებული მხარეების მიერ ორგანიზებულ აქციებში.

სენაკის წითელი ჯვრის ფილიალი ცდილობს წვლილი შეიტანოს დაუცველი ჯგუფების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში და შეამციროს ამ ჯგუფების იზოლაცია ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობით ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, დანიის წითელი ჯვრისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის სამმხრივი თანამშრომლობის პროექტი ეროვნული საზოგადოების განვითარებისთვის მიზნად ისახავს სენაკის ფილიალში თანამშრომლობის, მოხალისეების და ბენეფიციარების კომპეტენციისა და შესაძლებლობების გაძლიერებას, საგანგებო სიტუაციებისა და ყოველდღიური საქმიანობის დროს ყველაზე მოწყვლადი ადამიანებისათვის მომსახურების მიწოდებისთვის.

2018 წლის 20-21-22 დეკემბერს საქართველოს წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოების სენაკის ფილიალის ოფისში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ახალგაზრდობის საგანმანათლებლო შესაძლებლობებისა და დასაქმების პოტენციალის გაუმჯობესება საქართველოში - სენაკის მაგალითზე. ტრენინგს ესწრებოდნენ შ. მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული სენაკის კოლეჯის სტუდენტები, კოლეჯის დირექტორი – მანანა ჭანტურია, სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეს საჯარო სკოლის მოსწავლეები, სკოლის დირექტორი – გიორგი ხურცილავა, სენაკის კერძო სკოლა „პელაგონის“ მოსწავლეები – დირექტორი – რუსუდან ურიდია.

მოხალისეების მოზიდვის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ფილიალის თანამშრომელს ქალბატონ შორენა ხურცილავას და მოხალისეობრივ ინიციატივების კოორდინატორს - ხვიჩა ძაძამიას. ტრენინგი მიმდინარეობდა მშვიდ და უსაფრთხო გარემოში, სამი დღის განმავლობაში სენაკის წითელი ჯვრის ფილიალის 27 მოხალისემ მიიღო არაფორმალური განათლება. ტრენინგს ატარებდნენ სათაო ოფისიდან გამოცდილი ტრენერები: გვანცა ჟღენტი და ირაკლი იაკობიძე. ტრენინგი შინაარსობრივად იყო მრავალფეროვანი, რომელიც ეხებოდა მარგინალიზებული ახალგაზრდული ჯგუფების დასაქმების ხელმისაწვდომობას, მიზნობრივი უნარების განვითარებასა და მეწარმეობის ხელმისაწვდომობას.

სხვადასხვა სახის აქტივობები იძლეოდა საშუალებას, რომ მოხალისეები ყოფილიყვნენ უფრო თვითდაჯერებულები მცირე მეწარმეობის იდეების ჩამოყალიბებაში, მათ შორის სოციალურ მეწარმეობაში, კომპეტენციების შეფასებასა და ბიზნეს გეგმების სტრატეგიულ ჩამოყალიბებაში.

მოხალისეები კმაყოფილები დარჩნენ, რომ მათი შეძენილი უნარები ემთხვევა შრომის ბაზრის მოთხოვნებს. წარმატებულ მოხალისეებს გადაეცემათ სპეციალური სერთიფიკატები „ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების“ შესახებ.

საქართველოს წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოების სენაკის ფილიალს გარე კომუნიკაცია აქვს სენაკის მერიის კულტურის სამსახურთან. ხელმძღვანელი - გიგი მისაბიშვილი, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან - უფროსი დარეჯან ზარანდია, ყველა საჯარო და კერძო სკოლებთან, და ქალაქში არსებულ სამედიცინო და კულტურულ დაწესებულებებთან.

ასეთი ტიპის საგანმანათლებლო ტრენინგები მომავალშიც გაგრძელდება, რომელშიც მოხალისეების სხვა ჯგუფები ჩაერთვებიან.

2019 წელს საქართველოს წითელი ჯვარის ეროვნული საზოგადოების სენაკის ფილიალში მრავალფეროვანი და საინტერესო ღონისძიებები მოეწყობა როგორიცაა: ჯანმრთელობის მსოფლიო დღე 7 აპრილი, დედამიწის დღე- 22 აპრილი, შშმ პირთა საერთაშორისო დღე - 5 მაისი, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის მსოფლიო დღე - 8 მაისი, ბავშვთა დაცვის დღე - 1 ივნისი, სისხლის დონაციის მსოფლიო დღე - 14 ივნისი, ჰეპატიტის მსოფლიო დღე - 28 ივლისი, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დაარსების დღე - 8 სექტემბერი, მოხალისეთა საერთაშორისო დღე - 5 დეკემბერი და სხვა. ეს ის მცირე ჩამონთვალია აქტივობების რომელიც ყოველწლიურად ტარდება საქართველოს წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოების სენაკის ფილიალში, სადაც აქტიურადაა ჩართული ფილიალის თანამშრომლები, ბენეფიციარები, წევრები და მოხალისეები.

რენატა ხურცილავა
წითელი ჯვრის მოხალისე, თსუ-ს IV კურსის სტუდენტი.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ვინ მიხვდება?!

ასაკოვანნო და ახალგაზრდანო, გვინდა ჟამიდან ჟამზე მოგაწოდოთ ტექსტებიდან ისეთი ამონარიდები, კითხვის დასმის საშუალებას რომ იძლევა, თქვენ კი გთხოვთ დაფიქსირებას და გამოტოვებული ადგილის შევსებას. აგრეთვე, გამოცნობას საიდან არის ამოღებული ამონარიდი. ჯერი თქვენზეა.

„ღამის 12 საათმა რომ დაჰკრა, გაიღო კარი და შემოვიდა სასადილოში „ივერიის“ ასოთამწყობთა დეპუტაცია, მათ თან მოიტანეს, ის-ის არის ახლად დაბეჭდილი „ივერიის“ საახალწლო ნომერი, მიართვეს ილიას და თეფშზე დალაგებული ღვინით სავსე ჭიქებით, მუშა-ასოთ ამწყობთა მინდობილობით, ადღეგრძელეს ჩვენი დიდი მწერალი. ილიამ ხელახლად გაავსო მოტანილი ჭიქები და თვითონაც ადღეგრძელა ტკბილი და თბილი სიტყვებით სტამბის მუშები.

სუფრის თამადა ჩვენი დაუვიწყარი რაფიელ ერისთავი იყო, ილია მივიდა მასთან ალავერდით. მხცოვანმა მგოსანმა თამადამ მოითხოვა ვერცხლის თასი, შიგ ჩადო .....

და ზედ წითელი ყვარლის ღვინო დაასხა. მშვენიერი და ოხუნჯური სიტყვა წარმოსთქვა ტოლუმბაშმა. თასი ჩამოგვიტარა ყველას, თითოეულს ისე დაგვალევინა, თითქოს ზიარების გვაწვდიდაო.

—რა ჩადო ტოლუმბაშმა თასში?

ზემოადნიშნული დაიბეჭდა გაზეთ „კოლხეთის” 2018 წლის სექტემბრის ნომერში(№17).
გთავაზობთ პასუხს: ახლად დაბეჭდილი გაზეთი

გაუწიოთ დახმარება

ჩვენი რაიონის მკვიდრი. ღვაწლმოსილი პიროვნება ელდარ კობახიძე დაავადებულია მძიმე სენით ლიმფოიდური ლეიკემია. მკურნალობის ერთი ეტაპი ჩაიტარა ანადოლურ კლინიკაში. მოკლე ხანში აუცილებელია განმეორებითი მკურნალობა, რომლისთვისაც საჭიროა 15 ათასი დოლარი.

გულმხურვალე ადამიანებს ვთხოვთ შესაძლებლობის ფარგლებში გაუწიოთ დახმარება. ვაქვეყნებთ საბანკო რეკვიზიტებს.

ანგარიშის მფლობელი(მიმღები): ელდარ კობახიძე
ს.ს. „ლიბერთი ბანკი”, ბანკის კოდი: LBRTGE22
მიმღების ანგარიშის ნომერი: GE61LB0711120483178000

სს „ფინკა ბანკი საქართველო”, ბანკის კოდი FGEOGE22
მიმღების ანგარიშის ნომერი: GE05FG3360100237772001

სს „საქართველოს ბანკი”, ბანკის კოდი: BAGAGE22
მიმღების ანგარიშის ნომერი: GE61BG0000000103048632

სს თიბისი ბანკი, ბანკის კოდი: TBCBGE22
მიმღების ანგარიშის ნომერი: GE82TB7780145061100075

სენაკის ვეტერანთა კავშირი

განცხადება

გრძელდება ხელმოწერა გაზეთ «კოლხეთზე». ხელმოწერის ღირებულება 1 წლით შეადგენს 12 ლარს.

ძვირფასო თანაქალაქელებო, ხელმოწერით თქვენ სიცოცხლისშენარჩუნებას შენარჩუნებთ მუნიციპალიტეტის მექანიანეს.

სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეს საჯარო სკოლის დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური კორპუსი თანაუგრძნობს ლელა ცეკვავა-კვირაიას და დათო კვირაიას

სალომე კვირაიას

გარდაცვალების გამო

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნინო, დავით, და ვახტანგ სართანიებს მამიდის

ვერა სართანიას

გარდაცვალების გამო.

გია ხურცილავა ოჯახით თანაუგრძნობს ნინო, დავით და ვახტანგ სართანიებს მამიდის

ვერა სართანიას

გარდაცვალების გამო.

სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეს საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგიური კორპუსითანაუგრძნობს საინფორმაციო ცენტრის დირექტორს ნინო სართანიას მამიდის

ვერა სართანიას

გარდაცვალების გამო.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი შულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ. ფოთში შპს „ირიდა“-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 5 (493) 22 24 33